

ბრძანების პროექტი

თბილისი

N.88/01

06 აგვისტო 2013 წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ.

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის”, “ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის N.127 ბრძანების შესაბამისად, 2013-2014 სასწავლო წლის დაწყებისათვის აუცილებელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხების მოწესრიგების მიზნით ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადები განისაზღვროს შემდეგი წესით:

ა) პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია: **2 სექტემბერი – 14 სექტემბერი 2013 წ.**

ბ) გადმოყვანის წესით ჩარიცხულ სტუდენტთა რეგისტრაცია: **2 სექტემბერი - 14 სექტემბერი 2013წ.**

გ) სტუდენტთა შემოდგომის სემესტრული რეგისტრაცია: **2 სექტემბერი – 27 სექტემბერი 2013 წ.**

დ) შემოდგომის სემესტრის ვადები: **16 სექტემბერი, 2013 წ. – 7 მარტი 2014 წ.**

ე) I სემესტრის საგამოცდო სესია: **9 იანვარი 2014 წ - 11 თებერვალი, 2014 წ.**

ვ) “ზამთრის სკოლის” ვადები: **17 თებერვალი 2014 წ – 1 მარტი 2014 წ.**

ზ) “ზამთრის სკოლის” საგამოცდო სესია – **4 მარტი 2014 წ – 19 მარტი 2014 წ.**

თ) სტუდენტთა საახალწლო-საშობაო არდადეგები: **30 დეკემბერი 2013 წ - 7 იანვარი 2014 წ.**

ი) სტუდენტთა გაზაფხულის სემესტრული რეგისტრაცია: **4 მარტი 2014 – 21 მარტი, 2014 წ.**

კ) გაზაფხულის სემესტრის ვადები: **10 მარტი 2014 წ - 25 ივლისი 2014 წ.**

ლ) დამამთავრებელი გამოცდები: **2014 წ. 24 ივნისიდან.**

მ) II სემესტრის საგამოცდო სესია: **23 ივნისი 2014 წ - 24 ივლისი 2014 წ.**

ნ) გამოცდები მედიცინის ფაკულტეტის IV-V კურსის კლინიკურ დისციპლინებში, ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების II, III და IV კურსის და უმაღლესი პროფესიული პროგრამების (მილევადი რეჟიმი) II და III კურსის დისციპლინებში ჩატარდეს

კურაციული მეცადინეობის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში დამტკიცებული საგამოცდო ცხრილის მიხედვით, განმეორებითი გამოცდები - შესაბამისი სემესტრის დამატებით სასესიო პერიოდში.

ო) გამოცდები სტომატოლოგიის ფაკულტეტის III და IV კურსის არაპროფილურ კლინიკურ დისციპლინებში ჩატარდეს კურაციული მეცადინეობის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში დამტკიცებული საგამოცდო ცხრილის მიხედვით, განმეორებითი გამოცდები - შესაბამისი სემესტრის დამატებით სასესიო პერიოდში.

2. სათანადო საფუძვლების ან ფორსმაჟორული გარემოებების არსებობისას, რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეიძლება განისაზღვროს ამ ბრძანების 1-ლი პუნქტით დადგენილისაგან განსხვავებული სასწავლო პროცესის თარიღები.

3. სტუდენტთა სავალდებულო ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია (შემდგომში რეგისტრაცია) განხორციელდეს ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უნივერსიტეტში სწავლაზე უფლებამოსილებულ პირთა თსსუ-ში ჩარიცხვის წინაპირობაა პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა. რეგისტრაცია ითვალისწინებს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის სამდივნოში შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენას:

ა) განცხადება უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე;

ბ) ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჟებისათვის).

დ) ოთხი ფერადი ფოტოსურათი (3X4);

ე) პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის ხელშეკრულება;

ზ) სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5. პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადაში რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში პირი კარგავს უნივერსიტეტში სწავლის უფლებას და ეთქმება დასაბუთებული უარი უნივერსიტეტში ჩარიცხვაზე.

6. სტუდენტი, რომელიც არ გაივლის რეგისტრაციას წინამდებარე ბრძანებით დადგენილ ვადაში, არ დაიშვება სასწავლო პროცესზე. სასწავლო პროცესში თვითნებურად მონაწილეობის მიღება არ წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს შეფასების აღიარება.

7. უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი ვალდებულია გაიაროს სემესტრული რეგისტრაცია – ადმინისტრაციული (სწავლის საფასურის გადახდა) და აკადემიური (საგნობრივი) - “სასწავლო პროცესის მართვის სისტემის” საშუალებით.

8. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებისა და სწავლის საფასურს შორის არსებული სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში;

9. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს რ.ბერიაშვილს.

10. ბრძანება დაეზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, გამოცდებისა და უნარჩვევების შეფასების ცენტრს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტს, ყველა ფაკულტეტის დეკანატს, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, ყველა სასწავლო დეპარტამენტს.

11. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი